წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 15 ივლისი 1915 წ. № 44

საქართველო

86

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Т ифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი
„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმლები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ლომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსაგან:

თანახმად წლიურის კრების დადგენილებისა, საბჭო იწვევს მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველის მეორე თანაშემწეს, რომლის სასყიდლად კრების მიერ გადადებულია ამ ხანად თვეში ხუთ-ხუთი თუმანი. საბჭოს დადგენილებით ამ ადგილზე საჭიროა მოწვეულ იქნას „საზოგადოების“ მთავარ მიზანთა შესაფერის განათლებისა და მომზადების პირი: ისტორიკი ან ფილოლოგი. მცველის თანაშემწის ფუნქციები და მოვალეობანი მსურველთ შეუძლიათ გაიცნონ საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციიდგან მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა და მისი თანაშემწეებისათვის.

ადრესი: Тифлисъ. Грузинское О-во исторіи и этнографіи. მუზეუმ-ბიბლიოთეკა და კანცელარია მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში.

თბილისი, 15 ივლისი.

მსოფლიო ომის წლის თავი.

დღეს წლის თავია მსოფლიო ომის დასაწყისისა. შარშან ამ დროს ავსტრო-უნგრეთის იმპერიამ ომი გამოუცხადა პატარა სერბიას.

კაცობრიობას არასოდეს არ გადუხდია ასეთი საშინელი წლის თავი და ასეთი უმაგალითო, მსოფლიო უბედურების პანაშვიდი. ადამიანის გონება ვერ გაზომავს და ვერ ასწონავს ყოველივეს რაც მოხდა, ხდება და მოხდება: დაიღუპა და იღუპება ასი წლობით ნაშენი გონებრივი და ქონებრივი ძალა ევროპისა, რომელმაც ქვეყნიერების თითქმის ყოველი კუთხე ჩაითრია მსოფლიო ქარცეცხლში და ერთმანეთს დააჯახა შავკანიანი და თეთრი, ყვითელი და წითელი, ავსტრალიელი და არაბი, კანადელი და ოსმალო, ბური და შუა აფრიკის ველური. ინგრევა ესოდენის შრომით შექმნილი საერთაშორისო უფლება, ირყევა ძირითადი კანონები მსოფლიო მორალისა, ნიავდება ასი წლობით შეგროვილი ნაოფლარი კაცობრიობისა და ილვრება ამოდენა ძვირფასი სისხლი, რომ ადამიანი ლამის არის თავისავე სისხლში დაიხრჩოს. ვიღაცამ გამოიანგარიშა, ნაპოლეონის ოცი წლის ბატონობა და ომები ევროპას ორი მილიონი ადამიანი დაუჯდაო. წელიწადი გავიდა და ორი მილიონი მარტო გერმანიამ დაჰკარგა. ომს კი დასასრული ჯერაც არ უჩანს. პირიქით, გვპირდებიან: ომი მხოლოდ ეხლა იწყებაო. შეიძლება ეს მართალიც იყოს, რადგან თავით-ფეხამდე შეიარაღებული რამდენიმე სახელმწიფო ხელსაყრელ დროს უცდის და დღეს თუ ხვალ ისინიც ჩაერევიან სისხლის მორევში და მსოფლიო ქარ-ცეცხლში. მებრძოლნი იმდენად გაშმაგდნენ და გამწვავდნენ, რომ ფიცსა სდებენ: სანამ მოპირდაპირეს დედამიწის ზურგიდან არ აღვგვი, არ გავანადგურებ და სამუდამოდ არ მოუსპობ უნარს და სურვილს ბრძოლისას, მახვილს არ ჩავაგებო. ისტორიას ახსოვს გაუთავებელი ომები ნაპოლეონისა, ფრიდრიხ დიდისა და კარლოს დიდისა, ამიტომ საკვირველი არ იქნება, რომ ეხლანდელი ომიც დახურდავდეს და ჩვენ დაბერებამდე არ გათავდეს. რამდენს დაჰკარგავს კაცობრიობა შემდეგში—არავინ იცის, ის კი ცხადია, რომ შარშანდელს აქეთ მან გაცილებით უფრო მეტი დაჰკარგა, ვიდრე მთელ საუკუნის განმავლობაში.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—8

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

ომის დღიური

მიმოხილვა

11 ივლისს გერმანელები ტუკუმ-რიგის რკინის გზას გამოჰყოლიან და მისულან შლოკამდე, მაგრამ რუსებს უკუუგდიათ. შლოკი ტუკუმისა და რიგის შუა გზაზე მდებარეობს, რიგის დასავლეთით 25—30 ვერსზე და 3—4 ვერსზე ზღვის პირიდან. საგულისხმო ის არის, რომ გერმანელებთან ბრძოლაში აქ რუსეთის გემებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ეს ამბავი იმას ამტკიცებს, რომ გერმანიის ესკადრას ვერ გაუბედნია რიგის ყურეში შემოსვლა, რომელიც დანაღმულია. თქმა არ უნდა, თუ გერმანელები უეჭველად ამ გზით მოისურვებენ რიგისკენ წამოსვლას, უეჭველად მოიშველებენ თავიანთ საზღვაო ძალას, რომლის დაუხმარებლად ბაბიტის ტბისა და რიგის ყურეს შუა დიდის ჯარით გავლა თითქმის შეუძლებელია.

რა ხდება მიტავის ჩრდილოეთით და სამხრეთით პონევეჟამდე—არ ვიცით, ხოლო პონევეჟიდან კეიდან-კოვნოს მიმართულებით და კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. გუშინ ჩვენ აზრი გამოვთქვით, რომ შეიძლება გერმანელები პონევეჟიდან სამხრეთით დაეშვნენ. ამ აზრს ეხლა უფრო მტკიცე საბუთი ადასტურებს. ცხადია, რომ გერმანელებს შორეული სტრატეგიული მოვლა აქვთ განზრახული. ციხე კოვნო უძრავი წერტილია, რომელსაც მიებჯინება გერმანელთა ჯარის მარჯვენა წვერი, ხოლო ცენტრი (კეიდანთან) და მარცხენა წვერი (პონევეჟთან) თანდათან აპირებენ სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოხრას და სამხრეთით დაშვებას.

პონევეჟით მომავალი ჯარი ალბად მოინდომებს წამოსვლას რკინის გზის გაყოლებით, რომელიც ჩამოდის ნოვოსვენციანთან, ხოლო კეიდანიდან—მეორე რკინის გზით, რომელიც აღმოსავლეთით უვლის კოვნოს და ჩადის ვილნოში. ეს ოპერაცია მეტად მნიშვნელოვანი და რთულია, მაგრამ ძალიან ძნელიც და სახიფათო თვით გერმანელთათვის, რადგან მათი გეგმის შესასრულებლად დიდძალი ჯარია საჭირო, ვინაიდგან ამ რაიონში ისედაც მეტად გაგრძელებული ბრძოლის პირი უფრო მეტად უნდა გაგრძელდეს და გაიჭიმოს.

ლომჟისა და ოსტროლენკას ზემოდ, პისას შესართავთან გერმანელები კვლავ ცდილობენ ნარევს მოუახლოვდნენ და აქაც გადმოლახონ ეს მდინარე, რომლის სამხრეთით ამ ორ ციხეს რკინის გზა აერთებს.

დღევანდელი დეპეშა ოდნავ ნათელსა ჰფენს მეტად მნიშვნელოვან ამბავს შესახებ გერმანელთა ნარევზე გადმოსვლისას. ეტყობა მოპირდაპირე რამდენიმე ალაგას გადმოსულა და ნარევის მარცხენა ნაპირს მოჰფენია. პულტუსკისა და და როჟანის შუა გამოღმა, ე. ი. 40 ვერსის მანძილზე მეტად სასტიკი და მედგარი ბრძოლა ყოფილა, რომელიც ჯერაც არ გათავებულა. ნოვოგიორგიევსკისა და ივანგოროდის მოწინავე პოზიციებზე ბრძოლა კვლავ გრძელდება. ლიუბლინ-ხოლმის პირზე ერთი დღის შესვენების შემდეგ კვლავ განახლდა სასტიკი ბრძოლა. ფელდმარშალ მაკენზენის მარჯვენა წვერი დიდის ენერგიით და ძალებით აწვება რუსის ჯარს გრუბეშოვის ჩრდილოეთით.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 13 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 11 ივლისს ზღვის რაიონი ჩვენ მარჯვენა ფრთაზე ოსმალთა შემოტევა უკუვაგდეთ. მუშის მიმართულებით ვრცელ ფრონტზე ხდება შეტაკება. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 13 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. ტუკკუმიდან შლოხის მიმართულებით გერმანელთა მიერ 11 ივლისს დაწყებული იერიშები შეჩერებულ იქნა რუსების მიერ. რუსებს დახმარებას უწევდა საზღვაო ფლოტიც. დვინისა და ნემანის შუა გერმანელები მიუახლოვდნენ პონევეჟ-კეიდანის ფრონტს. კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით გაცხარებული ბრძოლაა. ნარევის ფრონტზე გერმანელებს უშედეგოდ მოაქვთ იერიშები რუსთა პოზიციებზე მდ. პისსაზე, სოფ. სერვატკთან. როჟანის სამხრეთით გაშმაგებულ ბრძოლის შემდეგ რუსებმა უკან დასწიეს გერმანელები მდ. ოჟიდან სოფ. ოლშანკამდე. პულტუსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. პრუტზე რუსთა მიერ მოგერიებულ იქნა მტრის იერიშები. ნოვოგიორგიევის მოწინავე პოზიციებზე პატარ-პატარა შეტაკებანი ჰხდება. ვისლას მარცხენა ნაპირზე ივანგოროდის მოწინავე პოზიციებზე გერმანელები კვლავ განაგრძობენ იერიშებს, მაგრამ რუსებიც მარჯვედ იგერიებენ. ვისლისა და ვეპრჟის შუა არტილერიის ცეცხლი მძვინვარებს. ვეპრჟისა და ბუგის შუა ბრძოლა უმაღლეს წერტილამდე აღწევს. 12 ივლისიდან გერმანელთ მთელს ფრონტზე მოაქვთ იერიშები, გარდა ერთი ვეპრჟის მახლობელი რაიონისა. გრუბეშოვის ჩრდილოეთით გერმანელები გაძლიერებული ძალებით ეკვეთნენ რუსებს, მიუხედავად ამისა, მათი იერიშები მოგერიებულ იქნა. ზოგიერთ სოფლების გარდა, რომელნიც ხელიდან ხელში გადადიოდნენ, მთელს ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ბუგზე, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე ბრძოლა არ მომხდარა.

შავ ზღვაზე 12 ივლისს რუსის ნაღმოსნებმა ნახშირის რაიონში ნახშირით დატვირთული 40 იალქნიანი ხომალდი დაჰძირეს და დაანგრიეს მაღაროების დაკიდული ხიდი.

ლონდონი, 12 ივლისი. ნახშირით დატვირთული რუსის გემი „რუბონია“, როდესაც კარდიფიდან მოდიოდა კუნძულ ორკნეისთან, დაღუპა გერმანიის წყალქვეშა ნავმა. ეკიპაჟი გადაარჩინეს.

ლოვესტოვტიდან მომავალი 4 ტრალერი დაღუპა გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩრდილოეთის ზღვაში. კომანდა მშვიდობიანად გადმოსხდა.

ფრანგული გემი „დანდე“, რომელიც იმყოფებოდა 80 მილით კეპროტის ჩრდილო-დასავლეთით, დაღუპა გერმანიის 2 წყალქვეშა ნავმა. კომანდა მოიყვანეს სტორნუეში.

ათინა, 12 ივლისი. პორტას საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები ქრისტიანთ წინააღმდეგ გამოწვეულია სტრატეგიულის მოსაზრებით და სახელმწიფოს დასაცველადო.

ასეთ გადახვეულ პასუხის შესახებ მეტად ბევრს ბჭობენ ათინის გაზეთები.

პარიზი, 13 ივლ. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტუაში, მდინარე უაზი და ენის შუა ჩვეულებრივი საარტილერიო მოქმედებაა. კრუაიონის რაიონში მდინარე ენის ჩრდილოეთით და შამპანში ნაღმებით ბრძოლა სწარმოებს. ბანდესაპთან, მიუხედავად მტრის საშინელი სროლისა, ჩვენი ჯარი გამაგრდა წინა დღით აღებულ პოზიციებზე. ტყვედ წამოვიყვანეთ 11 ოფიცერი და 825 ჯარისკაცი. აღებულ პოზიციებზე ჩვენ 6 ტყვიისმფრქვეველი ვიპოვეთ.

ლონდონი, 13 ივლ. „ტაიმსის“ სოფიელი კორესპონდენტი იუწყება, 9 ივლ. სტამბულში ხელი მოაწერეს იმ კონვენციას, რომლის ძალით ბულგარეთს ეთმობა დედეაგაჩის რკინის გზის ოსმალების ნაწილი. მარიცის დასავლეთით მთელი ტერიტორია ბულგარეთს მიეცემა. კონვენცია არაფერ პოლიტიკურ ვალდებულობას არ ავალებს ამ ორ შეთანხმებულ სახელმწიფოს.

ათინა, 12 ივლისი. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე სასტიკი ბრძოლაა. მოკავშირენი მაგრდებიან დაჭერილ პოზიციებზე და უზიაბაბაზე შეტევას ამზადებენ. მოკავშირეთა მფრინავებმა სმირნის გამაგრებულ ადგილებზე ყუმბარები ჩამოყარეს, ააფეთქეს სანათ გაზის ქარხანა და ნავთის საწყობი. მეორე მფრინავმა აივალის მახლობლად გაანადგურა სამხედრო მასალის საწყობი.

ინგლისის წყალქვეშა ნავმა მარმარილოს ზღვაში ააფეთქა ოსმალთა სატრანსპორტო გემი—შემდეგ ამავე წყალქვეშამ ხაიდართფაშასთან ჩასძირა სამხედრო სურსათით დატვირთული სატრანსპორტო გემი.

ფრაკიიდან დიდძალი მაშველი ჯარი გაგზავნეს ნახევარკუნძულზე. 120 ფრანგის მეზღვაური სმირნაში გაგზავნეს—გაგზავნამდე ტყვეებს მუსულმანთა უბნებში ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ. კიოდან 30,000 ბერძენი გააძევეს და ბრუსას ვილაეტში გაამგზავრეს.

პეტროგრადი,13 ივლისი. ოფიციალი. სახელობითი უმაღლესი უქაზი უმართებუ-

ლესს სენატისადმი. დღევანდელი უსასტიკესი ომი უფრო და უფრო ამრავლებს დაობლებულ ოჯახთა რიცხვს. მეფური მოვალეობა ჩვენი და ძახილი ჩვენის გულისა მოგვიწოდებს მივმართოთ რუსეთის ხალხს, რათა მან გამოიჩინოს მხურვალე გულშემატკივრობა, სამშობლოსათვის მოკლულ მეომართა შვილებისადმი. სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ობოლთა პატრონობა, ჩვენის აზრით, იმ თავითვე სამიწადმოქმედო თავშესაფრების დაარსებაში გამოიხატა; ეს თავშესაფრები, ჩვეულებრივ პირობებში, ობლებს აჩვევდა გარჯას და მუშაობას და აძლევდა სამეურნეო ქვეყანაში გამოსადეგ ძირითად ცნობებს. ხაზინას დიდი დახმარება გამოაქვს ამგვარ თავშესაფრების გასამართავად. მათი ძირითადი საფუძვლები აღნიშნულია ამასთან გამოქვეყნებულ თავშესაფრების შესახებ დებულებაში, მაგრამ ამ საქმის ჯეროვანი დაწინაურება შეიძლება მოხდეს მხოლოდ გამოცდილებით აღჭურვილ და გულშემატკივარ ხალხის დახმარებით. ადგილობრივ ამ თავშესაფრების გახსნა-გამრავლება და მათი კეთილ-განმტკიცება ჩვენ მივანდეთ საერობო დაწესებულებათ, რომლებიც გამოცდილია სამშობლოს სიყვარულის საქმეში და ახლო უდგას თვით სოფლის ხალხს. ამასთან ერთად, სამშობლოსთვის დახოცილ მეომართა ობლებისათვის თავშესაფრების აგებისა და მოწყობის საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩვენ მოვუწოდებთ ქალაქებს, საწოდებრიო ❁ საქველმოქმედო საზოგადოებებს და კერძო პირებს. მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მონასტრები, მრევლები და სხვა და სხვა საეკლესიო ძმობა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს მოწოდებას, რომელიც თანახმად წმ. სახარებისა, ობოლთა მოვლა-პატრონობას შეეხება, გულმოდგინედ გამოეხმაურება მთელი რუსეთი, განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა და მდგომარეობისა. ვბრძანებთ უმოწყალესად აღსრულებაში მოყვანილ იქმნას ჩვენ მიერ ამა 7 ივლისის სახელმწიფოს ძირითადი კანონების 87 მუხლის ძალით დამტკიცებული დებულება თავშესაფრების შესახებ. უმართებულესი სენატი ამის აღსასრულებლად მოახდენს შესაფერ განკარგულებას.

დედანზე მის იმპერატორობის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია: ნიკოლოზი.

ცარსკოე სელო, 7 ივლისი 1915 წ.

პეტროგრადი, 13 ივლ. სხვა და სხვა წყაროდან იუწყებიან, გერმანია-ოსმალეთის კრეისერი „ბრესლაუ„ შეეცადა ბოსფორიდან ზღვაში გასვლას, ამ დროს დაეჯახა ნაღმიან ჯებირს. კრეისერზე ბევრი მოკლული აღმოჩნდა.

ლონდონი, 13 ივლ. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჩრდილო ზღვაში ბრიტანიის გემი „გრენჩკუდი“, რომელიც ჰავრისკენ მოდიოდა. ეკიპაჟი გადარჩა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რა ხდება ბალტიკაში.

ვინდავა.

„რუსკაია მისლი“ იუწყება, ვინდავის დიდი ნაწილი გადაიწვა.

ჰოლდინგენი.

ზარბაზნის ყუმბარამ ცეცხლი გაუჩინა ლიუტერანების ეკლესიას. ყუმბარებისაგან ძალიან დაზავდა ქალაქის ერთი საუკეთესო შენობათაგანი, საოსტატო სემინარია.

ჰამველიდან გამოქცეულები ამბობენ, გერმანელები ისე სწრაფად მოიწევენ წინ, რომ დიდძალ გამოქცეულთ თავის ბარგ-ბარხანით და საქონლით გზა მოუჭრეს.

გამოქცეულების სიტყვით, ვენტის რაიონში ყოველდღე რამოდენიმე ჰაეროპლანი დაფრინავდა, არემარეს ზვერავდა და თანაც მაღლიდან ყუმბარებს ყრიდა. დაზავდა რამდენიმე კაცი.

რიგის სარაიონო ზღვის სანაპირო ადგილიდან დიდძალმა ხალხმა მოასწრო გახიზნვა, თუმცა ხუთ ივლისს დაწყებული ეკაკუაცია მეორე დღესვე შეაჩერეს. წამსვლელებს საგანგებო მატარებლები მიუჩინეს.

ომისგან დაზარალებულთა დამხმარე ებრაელთა კომიტეტმა ზღვის პირა მცხოვრებთ ებრაელებს გემი გაუგზავნა ნავებითურთ, დუბელნში ბაგაჟის წამოსაღებად. იგივე კომიტეტი გზისა და საგძლის ფულს ურიგებს რიგიდან, ტუკუმიდან და სხვა ადგილებიდან დაძრულ ებრაელებს.

დუბელნის გიმნაზიის კანცელარია დორპატში გადაიტანეს.

ჰოლდინგენიდან გამოქცეულების სიტყვით, ლიბავაში გადმოვიდნენ თუ არა, გერმანელების ერთი ნაწილი იმ წამსვე სამოცი ზარბაზნით და კიდევ მეტი ტყვიისმტყორცნელით ჰოლდინგენით ჩრდილო-აღმოსავლეთით გაეშურა. ამ ზარბაზნების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, გერმანელებს არა ნაკლებ სამოც ბატალიონისა გადმოუსხამთ ლიბავაში.

ლიბავაში საგარნიზონო სამსახურს აღმოსავლეთ პრუსიის ჯარის ნაწილი ეწევა, მას შემდეგ რაც ბავარიელები ლიბავიდან გავიდნენ.

ქვემო კურლიანდიაში გერმანელებმა აღწერეს დარჩენილ მკვიდრთა რიცხვი. გამოაცხადეს, ვინც თავის ნებით გავა, იმისი სახლ-კარი ტეცხლის კერძი გახდებაო. გადაბუგვით და სიკვდილით დასჯით ემუქრებიან ვინც ნებადაურთველად სტუმარს შემოუშვებს.

ს.-ს რაიონში გერმანელებმა ორს ივლისს ათასამდე მიწის მთხრელი მუშა დაატყვევეს. ყველა ესენი გარეკეს ვენტისაკენ, ფონ-კაულის მამულში. ყაზახებმა გერმანელები გაჰფანტეს და ტყვეებიც გაანთავისუფლეს.

6 ივლისს მთელი დღე და ღამე, მიუხედავად საშინელი წვიმებისა და შარაგზების ატალახიანებისა, აუარებელი ხალხი დაიძრა შლოკისა და მიტავის მიდამოებიდან და რიგისაკენ გაემართა. გამოქცეულებს თან წამოეღოთ ბარგი-ბარხანა, წამოეყვანათ რაც რომ საქონელი გააჩნდათ. რიგის მიდამო წარმოადგენს ვეებერთელა ბანაკს უსახლ-კარო და უსამშობლო ხალხისას. მთელი რიგა ნაირ-ნაირ ხალხით აივსო. სადგურებიც გატენილია გამოქცეულებით. ადგილობრივი მკვიდრნი, რაც ღონე შესწევთ, ეხმარებიან გამოქცეულებს, განსაკუთრებით ქალებს და ბავშვებს.

მიტავის რკინის გზაზედ სახალხო მატარებლის მოძრაობა შესწყდა.

ადგილობრივ რკინის გზის სადგურებზე გამოკრულია განცხადება: განკარგულებამდე მატარებლის მოძრაობა შეწყვეტილია კემერნ-კუკუმის, ტუკუმის და რიგა-ორდაკის რკინის გზის ლიანდაგზე.

საზონოვი დარდანელის შესახებ. იტალიური გაზეთი „Socolo“-ს პეტროგრადელი კორესპონდენტი ატყობინებს თვის გაზეთს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის ნაამბობს: „შავი ზღვა—რუსეთის ზღვაა. და რუსეთი ვერ მოითმენს, რომ ამ ზღვის გასაღები ისეთ ბარბაროსულ ქვეყანას ეჭიროს, როგორიც ოსმალეთია. შავი ზღვის ბედის გამგედ ოსმალეთი ვერ დარჩება. რუსეთს არ სურს ჩაკეტილი იყოს. რუსეთს აუარებელი ზარალი მიაყენა დარდანელის დაკეტვამ და ამას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი სურვილია ჩვენი სახლის კარები ღია იყოს, როცა მოგვესურვება; ხოლო ეს სურვილი მუდამ ჩვენთან იქნება, რადგანაც ამას ჩვენი ინტერესები მოითხოვს. ბულგარეთსა და რუმინიას არავითარი ხიფათი არ მოელის, რადგანაც ბოსფორის და დარდანელის გადასვლა რუსეთის ხელში უტყუარი გარანტიაა მიმოსვლის რეგულიარობისაო.

ორი მუშა

მოსკოვიდან სამშობლოში ვბრუნდებოდი. ვაგონში შემომყვა დაბალ-დაბალი, მაგრამ მხარ-ბეჭიანი და ჩამჯდარტანის კაცი. ორი პაწაწინა თვალით გაშუქებული, მრგვალი სახე და კოპიწცხვირი ამოწმებდნენ, რომ ჩემი თანამგზავრი რუსი არ იყო.

ჩემს გვერდით თავისუფალი ადგილი დაინახა, ზრდილობიანად მოიხადა გახეხილი მაუდის ქუდი და შემეკითხა, თავისუფალია თუ არა ადგილიო. ჩემი პასუხის შემდეგ მადლობა გადამიხადა და გვერდით მომიჯდა.

მის ლაპარაკის კილომ და ნათქვამმა დამარწმუნა, რომ მეზობელი ფინი იყო მოდიოდა ქ. აბოდან. გაიგო რომ ქართველი ვარ და თბილისში მივდივარ, სიამოვნებით გაიღიმა და დამტვრეული რუსულით მითხრა:

— მე კი ბათომში გეახლებით. ჩემი ძმა მ—ს ქარხანაში მსახურებდა, გარდაიცვალა და მისი ცოლშვილის წამოსაყვანად მივდივარ. მეც მუშა გახლავართ და ქ. აბოში ვმსახურობ.—ასეთია ბედი მუშისა—ნაღვლიანად წამოიძახა,—ხან აქეთ გადაისვრის ცხოვრების გაჭირვება, ხან იქით.

— როგორ, განა თქვენი სამშობლოს მუშები ისე გაჭირვებულნი არიან, რომ ასე შორს მიდიან? პირიქით, გამიგონია ფინი მუშები სხვებზედ კარგად ცხოვრობენ და გაჭირვება არ იციან.

— არა, ბატონო, ადმინისტრაციისაგან დევნილი იყო, თორემ სამშობლოს რას მიატოვებდა!—მიპასუხა ფინმა.

ასე გავეცანით ერთმანეთს, და ერთი დღის განმავლობაში ისე დავმეგობრდით კიდეც, რომ ჩემმა ახალმა ნაცნობმა,—როცა გაიგო ჩემი ინტერესი ფინლანდიისადმი—მოურიდებლად ბევრი საინტერესო ფაქტი გადამიშალა ფინლანდელთა ცხოვრებიდან. სხვათა შორის, ფინების მუშათა ცხოვრებასაც შეეხო და როდესაც ამ თემაზედ ლაპარაკი დაიწყო, პაწია თვალები გაუბრწყინდა და სახეზე ამაყური გამომხატველობა დაეტყო.

— ჩვენი მუშა ხალხი სიამაყეა ჩვენი ერისა,—მეუბნებოდა მესაუბრე,—მცოდნე, ჯანსაღი და ფიზიკურად მაგარი, აი მისი უმთავრესი თვისებანი. ფინმა არ იცის არც დალევა, არც სიზანტე და დაუდევრობა. ამიტომ იგი, შედარებით სხვა მუშებთან, ბევრად უფრო განათლებულია და დიდ სიძლიერეს წარმოადგენს ფინლანდიის ცხოვრებაში. ჩვენი მუშათა უმეტესი ნაწილი სოციალიზმის მიმდევარია. მაგრამ ჩვენს დროშაზე მასთანავე აწერია:

ძვირფასო ფინლანდია! საყვარელო სამშობლო!

და ამ სამშობლოსთვის რას არ გავწირავთ! მრავალი მაგალითი იყო ამის დამარწმუნებელი. ვუფრთხილდებით ერის ეკონომიკას, ვუფრთხილდებით და ვდარაჯობთ მის კონსტიტუციას. თუ ფინლიანდიას რაიმე ხიფათი მოელის გარედან, მუშათა კლასიც ერთხმად გამოდიოდა მის დასაცავად. ამიტომ ფინლანდიის ბურჟუაზია და მართებლობა დიდის ყურადღებით ეკიდებიან თავის მუშებს, უვლიან მათ და ანგარიშს უწევენ მის ყოველ თხოვნას. ფინის მუშის ცხოვრება, ამის გამო ბევრად უკეთესია და გაუმჯობესებული, ვიდრე რუსეთში და სხვა ჩამორჩენილ ქვეყანაში. ფინი მუშები ინახავენ და ასაზრდოვებენ ერს და ერიც ინახავს მათ.—ამაყად დააბოლოვა თავისი სიტყვა მუშა-ფინმა.

— რა ხელობის მუშა ბრძანდებით?—ვკითხე მე.

— სახურავ რკინის ქარხანაში ვმუშაობ.

— რას იღებთ თვეში?

— რუსულ ანგარიშით 137 მანეთს,—მიპასუხა ფინმა.

— რამდენი ოთახი გიჭირავთ ოჯახით?

— სამი.

— მე კიდევ „ღარიბი“ მუშა გახლავართ, მესამე ხარისხისა. აი მობრძანდით ფინლანდიაში, დაგვათვალიერეთ და ნახავთ „მდიდარ“ მუშებსაც, რომლებიც ბევრ რუს ბურჟუაზედ უკეთ ცხოვრობენ—ღიმილით მითხრა ფინმა. ასეთ სასიამოვნო საუბარში მიგვდიოდა დრო. როსტოვში რომ მივედით, ჩემს ფინს გარდაცვლილ ძმის სახლობა დაუხვდა. ველარ მოუთმენიათ და თითონვე წამოსულან სამშობლოში. ნაღვლიანად მეთხოვებოდა ჩემი კეთილი ფინი და სწუხდა, რომ „თქვენ განთქმულ ქვეყანას და ხალხს“ ველარ ვნახავო. მივეცით უკანასკნელი ძმური სალამი და ერთმანეთს განვშორდით.

ბაქოდან ჩვენი მატარებელი გაივსო ხალხით. ფინის თავისუფალი ადგილი დაიჭირა ხანში შესულმა გათეთრებულ წვერ-ულვაშიანმა ლამაზმა კაცმა. დავაცქერდი.

— ქართველი ბრძანდებით?—ვკითხე ახალ თანამგზავრს.

— დიახ.—მოკლედ მომიჭრა უკანასკნელმა და ჩაჩუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა და მთხოვა:

— ბატონო ერთი პაპიროსი მიბოძეთ.

ბევრი ხანი ჰქექავდა თავის დაფხრეწილ შარვლის ჯიბეებს ასანთის ძებნაში და ვერ ნახა. მივაწოდე ასანთიც. მოუკიდა პაპიროსს და მადლობით დამიბრუნა.

— საით მიბრძანდებით?—გადავკარი სიტყვა ჩემს თანამემამულეს.

— ჯანდაბას!—ბრაზიანად მომაძახა მან.

— მაინც?—არ ვცილდებოდი.

— საცა ღმერთი ძაღლის სიკვდილს მაღირსებს. ამ ათი წლის განმავლობაში დავეხეტები ჩვენს დედა მიწის ზურგზედ და ტანჯვა-ვაებისაგან ლამის დამბლად დავეცე. ათი წლის წინად ბათომის ერთ ქარხანაში ვმუშაობდი. გაფიცვის შემდეგ ყველანი დაითხოვეს. მე ქუთაისში გადმოვედი. იქ ერთ სავაჭროში „პრიკაშჩიკად“ ვმსახურებდი, სანამ კიდევ „ჩვენებმა“ გაფიცვა არ მოახდინეს და სავაჭრო მიახურინეს. წამოვედი ბაქოს. სამი წელიწადია სახედარივით ვუზიდავ, 38 მანეთად თვეში, „მილიონჩიკებს“ ხელით ნავთსა. პირი არ დამიღია, ხმა არ ამომიღია. დაიწყეს ქართველ მუშების დევნა. მეც, რასაკვირველია, თან მიმაყოლეს. მიზეზი ის ყოფილა თურმე, რომ ჩემზე იაფი მუშა კრო გამოჩენილა. და მასთან, რა თქმა უნდა ამბობდნენ „ქართველები არ ვარგიხართ, აგიტატორები ხართო, მუშებს გვირყვნითო“. ღმერთი, რჯული, ხმა არ ამომიღია სამი წელიწადი. მაინც თავი მიკრეს. როგორ ვუშველო ჩემს თავს და ოჯახს, სად ვიშოვო სამუშაო, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ,—არ ვიცი.

— რკინის გზაზედ? ვკითხე.

— რასა ბრძანებთ,

ცუდად არის ჩვენი, ქართველების საქმე, ბატონო, ცუდად.

მოსთქვამდა საბრალო ქართველი მუშა.

აი ასე შემთხვევით შევხვდი ორ მუშას, ორ პატარა ერის მშრომელ წრის წარმომადგენელს ამ რვა წლის წინად.

დარწმუნებული ვარ, მუშა-ფინი ფინლანდიის ერის დიად ეროვნულ შეგნების პატრონობით, დღეს უფრო წინ წაიწევდა და ის უნარიანად უფრო მეტს მოქმედობს და უფრო უკეთ სცხოვრობს.

საბრალო ბაქოელი ქართველი მუშა კი იქნებ შიმშილისაგან დალეული და უდროოდ მოკლული ცივ სამარეში მარხია.

მე გიამბობთ ამ მართალ ამბავს გულწრფელ ქართულ სულით.

მე გიამბობთ ამას გულ-მოკლული.

ქართული ცხოვრება უპატრონოა. ქართველ ერის ძალა და ერთი ბურჯი—ქართველ მუშის ბედი—ტანჯული და უიმედოა.

ჩაგრულ ქართველ მუშას მაშველ ხელს გაუწვდის მარტო შეგნებული ქართველი ერი.

შეგნებული და ძლიერი თავის ეროვნულ ცხოვრების მოწყობით.

გარეშე ამისა ვერ მოეწყობა ვერც ერთი ქართული საქმე, და მით უფრო ქართველ მუშების კეთილი მომავალიც. ეს ულმობელი სინამდვილეა.

ნათლად გადაშლილი დღევანდელ დიად დღეებში, როდესაც გერმანიის მუშა და მრეწველი ერთად ტიტანიურ ბრძოლას ეწევიან, რათა ეროვნული ასპარეზი გაადიდონ თავის ძალისა და ქონების აყვავება-გაშლისათვის. და ვინც ამ სინამდვილეს ანგარიშს არ გაუწევს, სჩანს უვიცია, ვიწრო დაძველებულ ფანატიზმით დაბრმავებული და მას არც ქართველ მუშის ტრაღიკული მდგომარეობა აწუხებს და არც ქართველ ერის კეთილი მომავალი სურს.

დ. კახელი.

ღეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ფრიად საგულისხმიერო მოხსენება წარუდგინა გრიგოლ ურატაძემ წყალდიდობის მიერ მიყენებულ ზარალის შესახებ სენაკისა, ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრებში. ნგრევა-განადგურების, წალეკვის, სახლების წარღვნისა, დახრჩობისა, მინდვრებისა და ნათესის გაოხრებისა, საქონლისა, ფრინველების დახრჩობის სურათი. ცხენისწყლის ნაპირებზე იპოვეს 18 დასახიჩრებული მამა-კაც-დედაკაცისა და ბავშვების სხეულის ნაწილი. ზარალი მილიონობით თუ ანაზღაურდება. ჯერ კიდევ ძნელია ყოველისფერის აღნუსხვა. მცხოვრებნი სასოწარკვეთილებას მისცემიან. საჭიროა სწრაფი დახმარება. საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლონ კავკასიის დაწესებულებათა წინაშე, რათა სწრაფი დახმარება აღმოუჩინონ მცხოვრებთ. პეტროგრადში გამგზავრებულ დეპუტატს ჩხენკელს დაევალა იშუამდგომლოს ცენტრალურ მმართველობის წინაშე, რომ მთავრობამ ქუთაისის გუბერნიის დაზარალებულ მცხოვრებთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ. ამასთანავე ითხოვეს სახელმწიფო სათათბიროში შესაფერი კითხვა აღძრას საქართველოს განადგურებულ კუთხეთა შესახებ. საზოგადოების დავალებით იგივე ურატაძე გაიგზავნა ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში საქმის ვითარების გამოსაკვლევად *).

---

*) დეპეშა დაგვიანებით იბეჭდება.

ახალი ამბავი

მისალოცი დეპეშა. როგორც ვიცით, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ა. დ. სამარინი დანიშნულ იქნა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორად. ამის გამო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბ-ნს სამარინს:

„მათს აღმატებულებას უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს ალექსანდრე დიმიტრის ძეს სამარინს. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიგიწვიათ თქვენ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მაღალ თანამდებობაზე. ქართველი თავად-აზნაურობა სიამოვნებით აღნიშნავს იმას, რომ **მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ** მიიწვია ამ მაღალ თანამდებობაზე თავად-აზნაურობის არჩეული კაცი. გულმხურვალედ გილოცავთ ახალ თანამდებობას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ივერიის მრავალტანჯული მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ღვიძლი შვილია თავად-აზნაურობა, ჰპოვებს თქვენში ივერიის ეკლესიის უკუნითი-უკუნისამდე უფლებათა დამცველს და მზრუნველს მისის სამწყსოს მრავალგვარ საჭიროებისას“.

ამის პასუხად თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი დეპეშა მიიღო ობერ-პროკურორ სამარინისაგან:

„სულითა და გულით მადლობას მოგახსენებთ თქვენ და ქართველ თავად-აზნაურობას მილოცვისათვის. ვალად ვრაცხ ჩემს თავს ხელი შევუწყო, რომ სამართლიანი და კანონიერი საჭიროებანი მართლმადიდებლობისა კავკასიაში დაკმაყოფილებულ იქნას“.

◆ **კრება.** 19 ივლისს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრთა კრება. კრების საგანია: განხილვა და დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვისა, წრის წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა და არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

◆ **„აღორძინების“ მოქმედება.** 9 ივლისს კრება ჰქონდა „აღორძინების“ ახლად არჩეულ გამგეობას. კრებაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან დავ. კახელაძე (თავმჯდომარე), იაკ. კოხტინი (თავმჯდომარის ამხანაგი) და იას. ფანიაშვილი (მდივანი); მოლარის არჩევა გადაიდო შემდეგ კრებამდე. კრებაზე დადგინდა პრეზიდიუმი კვირაში ერთხელ შეიკრიბოს. აგრეთვე დადგინდა გადაიდვას 50 მანეთი კოოპერაციების შესახებ საკითხების შესასწავლად. ამორჩეულ იქნა ორი კომისია, რომელთაგან ერთს დაევალა საამხანაგო ვაჭრობისათვის სახლის მონახვა, ხოლო მეორემ უნდა იზრუნოს სავაჭრო საქონლის შეძენაზე.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოებაში.** საბოლოოდ გადაწყდა, აჭარლების სასარგებლოდ ერთდღიური ფურცელი გაიყიდოს 26—27 ივლისს. ამ დღეებში შესდგება ქალთა ჯგუფი, რომელიც კისრულობს ხსენებულ ფურცლის გავრცელების მოწესრიგებას თბილისში. ფურცელში განცხადებებიც დაიბეჭდება. ფურცელში მოსათავსებელი მასალა მიიღება 21—22 ივლისამდე.

◆ **ეპისკოპოსი ლეონიდე** საზაფხულოდ შუამთის მონასტერში წავიდა.

◆ **ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი**, რომელიც რუსეთში აპირებდა გადასვლას, ისევ რჩება თავისს თანამდებობაზე. თბილისში დაბრუნდება იგი ორი თვის შემდეგ.

◆ **წარმოდგენები პროვინციაში.** ბ-ნ ზარდალიშვილის მეთაურობით ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფი წარმოდგენებს მართავს ზემო-ქართლში. ჯერ-ჯერობით ცხრა წარმოდგენა გაიმართა მიხაილოვსა, სურამსა, ბორჯომსა და გომში. ყველგან დიდძალი ხალხი ესწრება წარმოდგენებს, მაგრამ შესაფერისი სასცენო შენობის უქონლობა რამდენიმედ აფერხებს საქმეს. ჯგუფს თავისს რეპერტუარში მხოლოდ

ორგინალი პიესები აქვს, როგორც, მაგალითად, „სიმახინჯე“ შიუკაშვილისა, „მორევში“ ჰანტურიშვილისა, „პატარა კახი“ აკაკისა, „გულჯავარ“ ასიკო ცაგარლისა და სხვ. გუნდი აპირობს წარმოდგენების მართვა განაგრძოს.

◆ **სურსათი.** 12 ივლისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 3 ვაგონი, ქვავი 2 ვაგ., შაქარი 1 ვ., ფხვნილი შაქარი 1 ვ., ქვის მარილი 1 ვ., შეშა 26 ვ., ქერი 3 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვ., ნავთი 3 ვაგ., მატყლი 1 ვ., სპირტი 1 ვ., კარტოფილი 318 ფუთი, კიტრი 236 ფ., ბაკლაჟანი 838 ფ., კარაქი 165 ფ., კვერცხები 150 ფუთი, ხილეულობა 426 ფ., ნესვი 310 ფუთი.

◆ **მუშა-ხელის სიძვირე.** ქართლში ყანები დამწიფებულია და მომკა არის საჭირო. მაგრამ მუშა-ხელის სიმცირე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. სოფელი არ არის, საცა მუშა-ხელი საკმაოდ იყვეს. ხოლო თუ დროზე არ მოიმკო ყანები, შეიძლება წვიმები წამოვიდეს და მთელი ჰირნახული ჩალპეს. ამის გამო გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. რ. ერისთავი ცდილობს თავისის თავდებობით რამდენიმე სამკალი მანქანა ქირით მაინც იშოვოს მომეტებულად გაჭირვებულ სოფლებისათვის.

◆ **ხოლერის ნიშნებით** ავად გამხდარი სამხედრო სანიტარი, რომლის შესახებაც გუშინდელს ჩვენს გაზეთში ცნობა იყო დაბეჭდილი, უკვე გარდაცვლილა. ასეთისავე ნიშნებით ავად გამხდარა გარდაცვლილის ყოფილი მოსამსახურე.

◆ **მოსავლის იმედი.** როგორც გადმოგვცეს, ქიზიყში, განსაკუთრებით წანამხარში, პურს კარგი მოსავალი ექნება წელს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ სოფლად მუშა ხელი აღარ მოიპოვება და ამის გამო შეიძლება ბერი ყანა მოუმკალი დარჩეს.

ქალაქი და სიძვირე

მთელ ქვეყანაზედ ქალაქის საზოგადო თვითმართველობა ყოველთვის იმის ცდაშია ხოლმე, რომ მოქალაქეთ გაუადვილოს და გაუუმჯობესოს ცხოვრების პირობანი —ეს მისი პირდაპირი დანიშნულებაა. ამ მოვალეობის ასრულების დროს ევროპაში სულ ვერ შეხვდებით და რუსეთშიაც ძალიან იშვიათად, რომ საზოგადო დაწესებულების მასწავლებლად და პროგრესის გზაზედ დამყენებლად გამოდიოდეს ადმინისტრაცია; მაგრამ ჩვენში ყველაფერი უკუღმა ტრიალებს და კურთხეულ თბილისში, რომელსაც სათავეში უდგია ბ-ნ იზხანიანცის ტერმინოლოგიით „პროგრესიული ბურჟუაზია“—პოლიცმეისტერიც კი იძულებულია ხოლმე იჩივლოს, სადაც ჯერ არს, ქალაქის თვითმართველობაზედ, რომ იგი ჰყვლეფავს მცხოვრებთ. ამის მაგალითი ბ-მა პოლიცმეისტერმა ნათელ ჰყო სრულად, როდესაც დაამტკიცა, რომ ქალაქის თვითმმართველობა ხელოვნურად აძვირებს, მაგ., ხორცს სქელჯიბიან ყასბების სასარგებლოდ და მცხოვრებთა საზარალოდ. ამ უცნაურ მდგომარეობას დაერთო მეორე უფრო უცნაური და დასაგმობი: ხორცის გაძვირების დროს, ქალაქის მამებმა პირველ და მეორე ხარისხის ხორცს, ე. ი. ისეთს, რომელსაც გიახლებიან თითონ და საზოგადოდ შეძლებული კლასები—წაუმატეს ნაკლები, ვიდრე მესამე ხარისხისას, რომელსაც ყიდულობს უმეტესობა მდაბიო, ღარიბი ხალხისა, ე. ი. მცხოვრებთა უმრავლესობა, დემოკრატია. აქედანაც ნათელია ჩვენ „მამათა“ სულისკვეთება.

მეორე მაგალითი იმისა თუ როგორა სცდილობს ქალაქი ამ ცეცხლის წვიმის დროს მცხოვრებთა დახმარებას—გახლავთ ფქვილის ოპერაცია. მაშინ, როდესაც ფქვილის შემოტანა გაძნელდა და ხალხი თითქმის დაიმშა, ქალაქმა მოიფიქრა ასეთი კომბინაცია: შეეკრას პირობით სავაჭრო ბანკს, რომ მან შემოიტანოს ფქვილი და მეპურეებმა კიდევ შეიძინონ მისგან. ასეთი უცნაური კომბინაცია, რომელსაც უნდა გაეძვირებინა ტომარა ფქვილი არა ნაკლებ ათი შაურით მაინც (რადგან ბანკი საკომისიოს აიღებდა), მით უფრო გამოუცნობია, რომ მეპურეები ეხვეწებოდნენ ქალაქის თვითმართველობას: ბატონო, რად გინდა ბანკი, ჩვენ ნაღდ ფულს მოგართმევთ, ოღონდ თქვენ ფქვილის მოტანაში დაგვეხმარეთო. მმართველობა და მისი აგენტები მაინც თავისას არ იშლიდნენ და როდესაც მეპურეები ჩიოდნენ: ბატონო, ასე ხომ ვიზარალებთო,—ამშვიდებდნენ ასე: რათა, თქვენ რასა ჰკარგავთ—ნიხრს მოგიმატებთო. აი აქ მარხია ძაღლის თავი, რომლის საშუალებით ქალაქის თვიმართველობა ზრუნავს ცხოვრების გაიაფებაზედ კი არა, არამედ თვისი ქვენა-კომბინაციების გასამართლებლად **აძვირებს** პურს მეპურეების და ვაჭართა სასარგებლოდ და ისევ მცხოვრებთა საზარალოდ. რამდენადაც ვიცით, ასეთი უსამართლო კომბინაციები რამდენჯერმე ვერ მოხერხდა და მეპურეების წყალობით, რომელნიც აწვებოდნენ თვითმმართველობას თავისი **ნაღდი ფულით**, ჩვენ პური არც იმ ზომამდე დაგვიძვირდა, როგორც ქალაქსა სურდა. მაგრამ ქალაქის აგენტებმა მეპურეების ჯავრი ამოიყარეს და 20,000 მან. ჯარიმა გადაახდევინეს: რატომ მესამე ხარისხის პურსაც არ აცხობთო. ამ ჯარიმის უკანა მხარე ცხადია: იმ თვითმმართველობას, რომელიც სავაჭრო ბანკთან ისეთ საქმეებს არიგებს, რომლის წყალობითაც პური **ძვირდება**, იმ თვითმმართველობას, ვიმეორებთ, უფლება არა აქვს უკიჟინოს და დააჯარიმოს მეპურეები—რატომ მესამე ხარისხის პურსაც არ აცხობთო— მერე იმ დროს, როცა მესამე ხარისხის ფქვილის შოვნა შეუძლებელი იყო, რადგან თვითმმართველობას იგი არ შემოუტანია. ამ ზომით ნამეტნავად უსამართლოდ დასაჯეს მეთონეები, რადგან მესამე ხარისხის პურს განსაკუთრებული შეზავება უნდა, რომ თონემ დაიმაგროს და გამოცხვეს. მაგრამ ყველა ზემოხსენებული სულ ადვილი ხდება, როდესაც მოვიგონებთ იმ კლასიკურ უტიფრობის ნიმუშს, რომელმაც პრესამდინაც მიაღწია: ქალაქის თვიმმართველობის ერთ წევრს რომ განუცხადებია: ჩვენა ვცდილობთ ისეთ გარემოებაში ჩავაყენოთ წვრილი მეპურეები, რომ სრულებით ხელი აიღონ მუშაობაზედ და მაშინ გადავცეთ პურის ცხობის საქე რამოდენიმე მსხვილ ვაჭარს, რომელნიც... პურს გააიაფებენო. აი, სადამდის მიდის ჩვენი „პროგრესიული ბურჟუაზია“ და როგორ ესმის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა. ბავშვებმაც კი იციან, რომ რაც მეტია ვაჭარ-კონკურენტი—იმდენად უფრო იაფია ყველა საქონელი და მონოპოლია მარტო აძვირებს ყველაფერს და ამას მთელი ქვეყანა ებრძვის ნამეტნავად ისეთ დარგებში, რომელნიც პირველ საჭიროებას შეადგენენ. ეს ძალიან კარგად უნდა იცოდნენ თვითმართველობაშიაც და თუ მაინც ამას ესწრაფვიან—განსაკუთრებით ხელმძღვანელობენ იმავე ფსიხიკით, რომელიც ახასიათებს ჩვენს ვაჭრულს ქალაქის გამგეობას: ისინი მიჰკერძავენ მსხვილ ვაჭართ, სავაჭრო დაწესებულებათ და მცხორებთა ინტერესები ძალიან ნაკლებად აინტერესებთ. ვის არ ახსოვს, მაგ., თვითმართველობის ისტორიული „სხდომა ცხოვრების გაიაფებისათვის“, საცა ბ-ნი პოლიცმეისტერი ამტკიცებდა, რომ ვაჭრები სპეკულიაციით აძვირებენ ყველაფერსაო და ხმოსნები კი და „მამები“ მამა აბრამის ბატკნებივით მთელ ბრალს უგზოობასა სდებდნენ და ჩვენ მარტო ვზარალობთო, იძახოდნენ და ამიტომ მოითხოვეს... ნიხრის მომატება.

(დასასრული იქნება)

მოქალაქე.

პრესა

უკანასკნელ დროს „სახალხო ფურცელი“ ამხედრდა საერთოდ წინააღმდეგ რუსულად დაბეჭდილ ქართულ-სომხურ გაზეთებისა და კერძოდ—,,ზაკ. რეჩ‘‘-ისა. კამათი შესახებ ასეთი პრესის ვნებისა თუ საჭიროებისა ჯერ ,,კავკ. სლოვო‘‘-ში გადავიდა, ეხლა კი ამ შინაურ დავას პეტროგრადის ,,რეჩ‘‘-მაც მიაქცია ყურადღება. ამის გამო ,,სახალხო‘‘ სწერს:

> ამ გაზეთში მოყვანილია ცნობა შემდეგის სათაურით: „ქართული პოლემიკა“. ვიღაცას, ალბად, იმას, ვინც უფრო დაინტერესებული ყოფილა ამაში, გადაუცია სატახტო გაზეთისთვის ცნობა იმ პოლემიკის შესახებ, რომელიც რუსული გაზეთების შესახებ სწარმოებდა. მაგრამ ამასთანავე ერთად გადაუცია მხოლოდ ის, რაც „კავკ. სლოვო“-მ დაბეჭდა ჩვენი გაზეთის შესახებ. რედაქციის ან თვით კორესპონდენტის მიერ დამტკიცებულია მხოლოდ ის, რომ სხვა ქართულმა გაზეთებმა „სახალხო ფურცელს“ მხარი არ დაუჭირესო. როგორც ჰხედავთ, ყველაფერი, ისეთი წვრილმანიც კი, რანაირიც არის ეს საკითხი, შედარებით სხვა საკითხებთან, მალე ჰპოულობს ადგილს სატახტო გაზეთში, თუ ეს ზოგიერთ წრეებს საჭიროდ მიაჩნიათ. საკმარისი იყო თბილისში ქართველებისა და სომხების მიერ წარმოებულ რუსული გაზეთების შესახებ ხმა ამოგველო, ,რომ მაშინვე გამოჩენილიყვნენ მოხალისენი და დაესმინათ რუსეთის საზოგადოებასთან ქართული გაზეთი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ დასმენისა არ გვეშინიან. დამშვიდებულის სინიდისით მოვახსენებთ პეტროგრადის „რეჩ“-საც იმას, რაც აქაურ გაზეთებს ვუთხარით. ამ ჟამად ზემოხსენებული ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ დაგვენახვებინა მკითხველისათვის ნამდვილი დასამტკიცებელი საბუთი ჩვენი მოსაზრებისა. მთელი დანიშნულება „კავკ. სლოვო“-სი იმაში მდგომარეობს, რომ ამნაირი ხასიათის ცნობები აწოდოს რუსეთის საზოგადოებას. წყალდიდობამ მოსპო ჩვენი ქვეყანა, უსაშინელესი უბედურება დაგვატყდა თავს და „კავკ. სლოვო“ კი ამის შესახებ სდუმს. სდუმს განზრახ, რადგანაც შეუძლებელია ამისთანა უბედურების შესახებ ადგილობრივმა პრესამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოს. სდუმს ამის შესახებ სატახტო გაზეთი „რეჩ“-იც, მაგრამ „ქართული პოლემიკის“ შესახებ კი ჰბეჭდავს ცნობას.

ჩვენი ქვეყნის უბედურების ამბავი საქართველოს საზღვრებს არ გასცილებია და „ქართული პოლემიკის“ ამბავი კი ხელად აფრინეს პეტროგრადში. მაშ, რა არის ეს, თუ არა პრესის გათახსირების საუკეთესო ნიმუში. და ამისთანა პრესას დამცველებიც კი უჩნდებიან ისევ ქართველთა „შორის!..

კადეტთა პარტიის ბელადის მილიუკოვისა და მისი გაზეთის „რეჩის“ დასახასიათებლად ჩვენც გვაგონდება ორიოდე ამბავი. როცა ოსმალეთიც ჩაერია ომში, „რეჩმა“ მეთაურ წერილში ასეთი აზრი გაატარა: კავკასიელ ერებს ეძლევათ შემთხვევა დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება რუსეთისადმი. ვინც უფრო ერთგული გამოდგება და მეტ სარგებლობას მოუტანს რუსეთს, მას მეტიც მიეცემაო. როგორც ხედავთ, ეს გაზეთი ნამდვილ დოლს მართავდა ერებისას. ქართველს, სომეხს, ან მაჰმადიანს იმისთვის კი არ უნდა ებრძოლნა, რომ პირნათლად და ერთგულად შეესრულებინა სახელმწიფოს წინაშე თვისი მოვალეობა, არამედ იმისთვის, რომ მეორესთვის გაესწრო და პრიზი დაემსახურებინა. კადეტთა გაზეთი ალბად არ გრძნობდა, რომ ასეთი დოლი კავკასიელ ყოველ ერის შეურაცჰყოფა იყო. მას აქეთ ამ გაზეთს ქართველების შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ამავე გაზეთმა დაბეჭდა ამიერიდან ისტორიული ვიცეს დეპეშა და... არ დაბეჭდა ოფიციალი განმარტება პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსი შესახებ იმისა, რომ ქართველების ერთგულებაში იჭვიც არავის შეჰპარვიაო.

ვინც დაკვირებით ადევნებს თვალყურს რუსულ პრესას და ცხოვრებას, იმას ძალიან გაუჭირდება იმის გამოცნობა, თუ ვინ არის ქართველ ერის მეგობარი ან მტერი: კადეტი მილიუკოვი თუ შავრაზმელი პურიშკევიჩი.

ახალი ობერ-პროკურორი უწმ. სინოდისა ა. დ. სამარინი

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობის ახალი აღმასრულებელი ალ. დიმ. სამარინი ძველ აზნაურთა საგვარეულოს ეკუთვნის. დაიბადა 1868 წ. უმაღლესი სწავლა-განათლება დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტი, შემდეგ შევიდა სამხედრო სამსახურში. პრაპორშჩიკის თანამდებობაზე იყო წარდგენილი, რომ 1893 წ. კვლავ სამოქალაქო სამსახურს დაუბრუნდა. ჯერ დაინიშნა საერობო უფროსად. 1894 წ. იგი დაინიშნა აზნაურობის წინამძღოლად ბოგოროდცკის მაზრაში. ამ გუბერნიაშია მისი საგვარეულო მამული. კარგად იცნობდა ადგილობრივ საჭიროებას და იქაურ აზნაურთა შორის კარგი სახელი მოიხვეჭა. იგი ნიჭიერი ორატორია, გონიერი ხელმძღვანელი საზოგადო ორგანიზაციებისა და კერძოდ ერობათა კრებებისა. 1908 წ. პირველად იქნა არჩეული მოსკოვის გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლად. მას შემდეგ ამ თანამდებობას უცვლელად ასრულებს. განსაკუთრებით დიდი სახელი გაიგდო 1912 წ. აზნაურთა გაერთიანების გამო. ამ წელს იგი დაინიშნა სახ. საბჭოს წევრად. სესიის გახსნისთანავე ა. დ. მონაწილეობა მიიღო საზოგადო კრებებზე და მემარჯვენეთა ჯგუფში. ომის გამოცხადებისათანავე წითელ ჯვარში ჩაეწერა.

ა. დ. სამარინის ობერ-პროკურორად დანიშვნა აღსანიშნავია მით, რომ ამ უმაღლეს მმართველობის პოსტზე მის სახით დაინიშნა საზოგადო მუშა და მასთან განსაზღვრულ სლავიანოფილურ მსოფლმხედველობის ადამიანი. (რ. ვ.).

გვირგვინის თვლები

(ზღაპარი)

ბნელეთის ხელმწიფე მოკაზმულიყო, თუჯის გვირგვინი დაეხურა და თუჯის დარბაზში ლხინობდა. ხელმწიფეებს უმასპინძლდებოდა. მონათა ხროვა თავს დასტრიალებდა. ნაზი ჰანგები გარშემო იბნეოდა, ყური სტკბებოდა და გული ხარობდა...

ბნელეთელის გვირგვინი შავად გამოიყურებოდა; პატიოსან თვლებს თუჯი ჰბინდავდა და დარბაზი ოდნავ იყო განათებული.

— მე რომ ბნელეთელის გვირგვინის ალმასის თვალი მომცენ,—სთქვა თავის გულში ზღვის ხელმწიფემ,—ოქროს სხივებით შევმოსავდი, ზღვას გავაშუქებდი და ჩემს სწრაფმავალს აფრიან გემებს ქარი ველარას დააკლებდა. ჩემი ხალხი ბედნიერი იქნებოდა.

— ნეტავი ბნელეთელის გვირგვინის მარგალიტი მომცა და სხვა არა მინდარა!—ინატრა ჩუმად შუქეთის ხელმწიფემ.—საფირონის მძივებს შემოვუმწკრივებდი, ოქროში ჩავსვამდი, ავაკამკამებდი და ჩემს ქვეყანას ღამესაც დღედ ვუქცევდი.

— მე რომ ჩემი მასპინძლის გვირგვინის ზურმუხტის თვალი მქონდეს,—გაიფიქრა ველთა ხელმწიფემ,—წვრილ მარგალიტებს შემოვუსხამდი, ოქროში ჩავსვამდი და ჩემს ველებს მწვანედ ავალაღანებდი.

— მომეცით ბნელეთის გვირგვინის ფირუზი,—წამოიძახა გაუფრთხილებლად ღრუბლეთელმა,—და ჩემს დალვრემილ ქვეყნის ცას სულ ლურჯად ავაბიბინებ!..

მაგრამ ამ დროს საკრავებმა ხმა აუმაღლეს და უნებურად წამოსროლილი სიტყვა ვერავინ გაიგონა.

— მოცეკვავენი მოიყვანეთ!—დაუყვირა მონებს ბახუსისაგან შეპყრობილმა ბნელეთის მფლობელმა.

— მოცეკვავენი ღვინომ დასძალა,—მოახსენეს მბრძანებელს მოწიწებით.—ძილს მიეცნენ.

— დასაჯეთ!.. აწამეთ!.. შემ...

ხელმწიფემ სიტყვის დათავება ველარ მოასწრო, კარი გაიღო და დარბაზში ვინმე უცნობი შემოიჭრა. გრძელი და მოქნილი ფეხები ჰქონდა. კუნთები ელვის სისწრაფით ებურცებოდა და ელვის სისწრაფითვე ეშლებოდა. ბიჯს ისე სდგამდა, რომ თვალი ვერ ასწრობდა. სახე გაზაფხულის დღესავით ეცვლებოდა.

— დიდებულო ხელმწიფევ!—მიმართა ბნელეთელს უცნობმა და წერილი გადააწოდა.—გრძნეულთა ხელმწიფე სალამს გიძღვნით.

„შენ ლხინობ“, სწერდა გრძნეულთა უფალი, „მე დაგავიწყდი, არ დამპატიჟე, მაგრამ მაინც ინებე ჩემგან საჩუქარი— ხუთი ლამაზი მოცეკვავი“.

კარი გაიღო და ხუთი ჰაეროვანი არსება შემოსრიალდა. ოთხს ჯვარედინად ხელი-ხელს მიეცა, ტახტი შეეკრა და ზედ მეხუთე დაეყენებინათ. ხუთსავე ნაზი სამოსელი ჰბურავდა.

ძღვენი ბნელეთის მბრძანებელს. სთქვა გრძნეულთა ხელმწიფის შიკრიკმა და სწრაფად გავიდა დარბაზიდან.

ხმაურობა მიყუჩდა. უცხო სანახაობამ ყველა მოხიბლა. ზღვის ხელმწიფეს ალმასი დაავიწყდა, შუქეთელს მარგალიტი, ველთა მფლობელსა ზურმუხტი, ღრუბლეთელს ფირუზი და ბნელეთელსა მთლად თავის თავი.

— ჩვენ ტყის შვილნი ვართ!—დაარღვია სიჩუმე წკრიალა ხმამა.—ჩვენმა ბრძანებელმა, გრძნეულთა ხელმწიფემ, საცეკვავად გამოგვისტუმრა.

— აბა, საკრავნი!—დაიყვირა გონმოსულმა ბნელეთელმა.

დარბაზი ვნებით სავსე საცეკვავი ხმებით გაივსო.

ოთხი ჰაეროვანი არსება შეირხა. მეხუთე ცოცხალის ხელების ტახტიდან გადმოფრინდა და ბნელეთის მფლობელს მიუახლოვდა.

— მე ვარდი ვარ, ყვავილთა დედოფალი!— სთქვა ნარ-ნარის ხმით და საკრავების ხმაზე ციბრუტივით შემოტრიალდა. ნაზი სამოსელი შეუფრიალდა და მაყურებლის თვალწინ სულნელი ვარდი გადაიშალა.

ვარდი ცეკვით მოუახლოვდა ოთხს თავის ამხანაგსა და ცოცხალ ხელების ტახტზე შეცქრიალდა. ოთხი ჰაეროვანი არსება ვარდიანათ შემოტრიალდა და ბნელეთელის წინ უცხო თაიგული გამოინასკვა. შუაში ვარდი მეფობდა, ნაპირებს ორი ია და ორი სოსანი ამშვენებდა.

უცბად თაიგული დაიშალა და ყვავილები ბნელეთელს შემოეხვივნენ... გვირგვინს შეეხნენ...

საკრავნი უფრო და უფრო ახმაურდნენ.

— მეძინება! — სთქვა მთქნარებით ზღვის ხელმწიფემ და ხვრინვა ამოუშვა.

ზღვის ხელმწიფეს დანარჩენებმაც მიჰბაძეს და საკრავთა ხმა ხვრინვამ დაფარა. ბნელეთელის ახლოს ძირს რაღამაც რახუნი მოაღო და დარბაზი ბნელმა უკუნეთმა მოიცვა...

— ჩემი გვირგვინი?!—წამოიძახა ბნელეთის მბრძანებელმა, როცა გამოიღვიძა და ბნელაში ხელების ფათური დაიწყო. ფეხებთან ორად გატეხილი რკალი იპოვა. ხელი მოუსვა: თვალები აღარა ჰქონდა.

— ჩემს სიძლიერეს ბოლო მოეღო!— წამოილაპარაკა მწუხარებით და ღონემიხდილი ტახტზე მიესვენა.

ინ—ბანი.

ცინცაძე-ოცხელის ინცინდენტი

„სამშობლო“-ში დაბეჭდილია განმარტება ქუთაისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორის ბ-ნ ი. ოცხელისა შესახებ ამავე გიმნაზიის მასწავლებლის ბ-ნ იაკობ ცინცაძის დათხოვნისა. რაკი ამ ამბავმა ქუთათურ საზოგადოებაში ერთგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ჩვენც გამოვეხმაურეთ ამ ამბავს შეკითხვით ბ-ნ ი. ოცხელისადმი, ვბეჭდავთ მის განმარტებას. ბ-ნ ი. ოცხელი სწერს:

ამა ივლისის 2-ს იაკობ თომას ძემ ცინცაძემ მიიღო ქართული გიმნაზიის ინსპექციის სახელით ცნობა, რომ 1 სეკტემბრიდან მას გიმნაზიაში გაკვეთილები აღარ ექნება.

ამან გამოიწვია ბ. ცინცაძის გაზეთის „სამშობლოს“ გულის წყრომა და ლანძღვა-გინება, ხოლო საზოგადოებაში დაბადა გაუგებრობა.

ამიტომ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო შემდეგი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქუთაისის ქართული გიმნაზია გასამკეცდა: ყველა კლასთან გარდა ერთისა, მესამე პარალელები გაიხსნა. ხარჯი გადიდდა და მოვლა გაჭირდა. ამის გამო მზრუნველმა კომიტეტმა და თვით ოლქის მზრუნველმა მოითხოვა მესამე პარალელების თანდათანობით დახურვა. გიმნაზიის ინსპექცია მომავალი სასწავლო წლისთვის თადარიგს შეუდგა. ინსპექციის გამოანგარიშებით სამი კლასი დაიხურება და ამის გამო მასწავლებელთა რიცხვიც შემცირდება.

ხოლო პარალელების დახურვის გამო გაკვეთილების თავის დანებება იმ მასწავლებლებს მოელის, ვინც ამ პარალელების გახსნის გამო იყვნენ მოწვეულნი, მეტადრე იმათ, ვისაც ფეხი უდგიათ მთავრობის გიმნაზიაში და იქიდან დაიარებიან გაკვეთილებზე ქართულ გიმნაზიაში.

მთავრობის გიმნაზიიდან ამ გვარ მოსიარულე მასწავლებლებს ქართული გიმნაზია თავის მკვიდრ მასწავლებლებათ არა სთვლის: მათ იწვევს ინსპექცია თავის უფლებითა და თავის პასუხის გებით საჭიროების მიხედვით და თავისივე უფლებით ათავისუფლებს. მხოლოდ შემდეგ მოახსენებს კომიტეტს.

ამ გვარ მასწავლებლებს ეკუთვნოდა ბ. ცინცაძე, რომელიც ქუთაისის წმ. ნინოს სახელობაზე არსებულს მთავრობის სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელია და რომელიც ქართული გიმნაზიის ინსპექციამ ამ ბოლო წლებში მიიწვია პარალელების გახსნის გამო.

მასწავლებლობის გარდა ბ. ცინცაძე ასრულებდა გაზეთის რედაქტორობის თანამდებობას.

ეს გარემოება და შეიძლება სხვაც ხელს უშლიდა ბ. ცინცაძეს და ამის გამო მასწავლებლის მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებდა, რაც იწვევდა უკმაყოფილებას მასწავლებელთა კორპორაციაში.

ამ გარემოების მიხედვით ორი-სამი თვის წინად მე განზრახვა მქონდა, რომ ბ. ცინცაძეს თავისით დაენებებია თავი მასწავლებლობისათვის.

ხოლო ივნისის პირველ რიცხვებში ინსპექციამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ 1 სეკტემბრიდან, სხვათა შორის, ბ. ცინცაძესაც აღარ მისცემოდა გაკვეთილები, და შეუდგა გაკვეთილების განაწილებას.

ინსპექციის ამ გადაწყვეტილებას არავითარი კავშირი, არავითარი დაახლოვება არ ქონია იმ გარეშე გარემოებასთან, რომელიც აღნიშნული იყო გაზ. „სამშობლოს“ 18 ისა და 19 ივნისის ნომრებში და არც შეიძლება ქონოდა, თუნდაც იმის გამო, რომ ბ.ცინცაძის შესახებ ინსპექციის გადაწყვეტილება მოხდა ივნისის პირველ რიცხვებში და აღნიშნული გარემოება კი ორი კვირის შემდეგ, ასე რომ გარეშე გარემოება კი არ უძღოდა წინ ინსპექციის გადაწყვეტილებას, პირიქით, ჯერ ეს გადაწყვეტილება მოხდა და შემდეგ ის გარემოება. მხოლოდ ამ გარეშე გარემოების გამო

ბ. ცინცაძის მიერ ატეხილმა აურზაურმა დაასწრო ინსპექციის გადაწყვეტილების ოფიციალურ გამოცხადებას და ამით გამოიწვია საზოგადოებაში ეჭვი და გაუგებრობა.

ერთი სიტყვით, ვაცხადებ, რომ ინსპექციის შეთანხმება ბ. ცინცაძისაგან გაკვეთილების ჩამორთმევის შესახებ მოხდა მაშინ, როცა ბ. ცინცაძის შესახებ არავითარი უსიამოვნო გარემოება არც შკოლაში და არც შკოლის გარედ არ არსებობდა, შეთანხმება მოხდა გარეშე ყოველი ცუდი გრძნობისა და რაიმე პირადი ინტერესისა. თუ საჭირო იქნა, ამას დაადასტურებენ პატიოსნებით ცნობილი ჩემი თანაშემწეები: სილოვან ხუნდაძე და გერასიმე ცაგერეიშვილი.

„სამშობლო“ ბ-ნ ი. ოცხელის განმარტებას წერილს უძღვნის, სადაც, სხვათა შორის, სწერს:

„მთავარ მიზეზის გარდა ყოფილა სხვა მიზეზებიც, რომლებიც, ბ. დირექტორის აზრით, არა ნაკლებ უწყობდა ხელს იმ გარემოებას, რომ ი. ცინცაძე გიმნაზიიდან დაეთხოვნათ. ბ. დირექტორი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ი. ცინცაძე რედაქტორი იყო გაზ. „სამშობლოსი“, ეს კი ხელს უშლიდა მასწავლებლის მოვალეობა რიგიანათ აესრულებინა, რაც მასწავლებელთა კორპორაციაში უკმაყოფილებას იწვევდაო.

გვსურს პირდაპირ დაუყენოთ საკითხი ბ. ოცხელს:

იყო თუ არა ის, დირექტორი ბ. ოცხელი, მასწავლებელ ი. ცინცაძესთან ერთად გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი და თუ იყო, რატომ ადრე არ აქცევდა ყურადღებას ამ გარემოებას, რომ გაზეთში მუშაობამ და კოლეგიის წევრობამ შეიძლება ხელი შეუშალოს არა მარტო მასწავლებელს, არამედ დირექტორსაც?

რედაქცია აგრეთვე სთხოვს ბ. დირექტორს განმარტოს შემდეგი გარემოება:

იყო თუ არა ბ-ნი ი. ცინცაძე ერთად ერთი მასწავლებელი, რომელიც მასწავლებლობის გარდა სხვა საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდა, რისთვისაც ის დათხოვნილ იქნა, თუ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა შორის არიან სხვებიც, რომლებიც სხვა დაწესებულებებშიაც მსახურებენ ჯამაგირით, თუმცა ამ დაწესებულებებს არაფერი საერთო პედაგოგიასთან არა აქვთ, არც გიმნაზიიდან არიან დათხოვნილნი“.

დამშეულთა შველა

(წერილი სამეგრელოდან)

ჩვენში საზოგადოდ ყოველგვარი „საქმე“ ცუდად მიდის ხოლმე, მაგრამ ამ საქმის ცუდად მიმდინარეობას ისე ვართ შეჩვეული, რომ ვერც კი ვამჩნევთ მის უკულმართობას. ყველაზე უარესი ის ყოფილა, როცა ისედაც დამშეული კაცის საქმე ცუდად წავა. ამას ვერც შეეჩვევი და ვერც შეურიგდები. აი უკვე ნახევარი წელი შესრულდა იანვრის აქეთ, რაც დამშეული ხალხი იძახის: „გვშიან… გვიშველეთ… პური, პურიო“, მაგრამ ერთხანს პასუხსაც არავინ იძლეოდა. ბოლოს ჩვენი მთავრობა გვიპასუხებს დამშეულებს: „მოდის, მოდისო“, მაგრამ… როდის?—ვეკითხებით ჩვენ.

— ხვალ, ზეგ, ორშაბათს, კვირას… მიდის დღე დღეზე, კვირა კვირას მისდევს, თვე—თვესა და ჩვენ კი ისევ ვelით! ამ მოლოდინში ვისმე ორი-სამი კვირის საზრდო რამე თუ გააჩნდა შემთხვევით, ისიც სესხით გამოვლიეთ. აი, მოგვივა სიმინდი და გაგისტუმრებთო. მაგრამ არ „მოდის“ არც პური, არც სიმინდი, არც ფული! ამასობაში „გაპროლეტარდა“ ისიც, ვინც გვასესხა, და ჩვენც აღარაფერი გვაბადია. ვიარეთ ზუგდიდში მშიერმა ხალხმა, ვიარეთ… ვაგზავნეთ დეპუტაციები, მაგრამ არაფერი გვეშველა. მხოლოდ ბოლოს, ამ ივლისის პირველ რიცხვებში, მოვიდა მახარობელი… „სიმინდი მოსულაო!“ არიქა, ბიჭო! ვსტაცეთ ტომრებს ხელი, წაvedით ზუგდიდს, მაგრამ ვაი ამისთანა წასვლას: იქ სიმინდი კი არა მისი… „ნიმუში“ მოუტანიათ.

გვითხრეს: აი, ნახეთ ეს „პრობი“ და, თუ მოგეწონებათ, წახვალთ სენაკში და იქ ჩაიბარებთო.

სიმინდი სრულიად დამპალი იყო.

ვთქვით: ჯერ ერთი არ იჭმევა, და მეორე—სენაკიდან როგორ უნდა მოვიტანოთო.

ჯვარი, ჭკადუაში, ფახულანი, ლია და სხვა დამშეულ სოფლებიდან რომ სენაკში წახვიდე, უნდა გაიარო 150—200 ვერსი. ხუთი-ექვსი დღე მშიერმა კაცმა უნდა იარო ურმით და ბოლოს უნდა მოიტანო… ხუთი ფუთი სიმინდი (ასე მოდის დაახლოებით თითო კომლზე).

ამის შემდეგ თვითონ განსაჯოს მკითხველმა, როგორ მიდის დამშეულთა საქმე ჩვენში.

კაი.

მზე და მზე

ასი წლის მოხუცთან.

აგერ კვირამაც გაიარა, მაგრამ არ იქნა, სიღნაღი ვერ ვნახე. რაღაც ეშმაკი აგვიჩნდა, ყოველ დღე გვაცვლევინებდა მოგზაურობის გეგმას. აი დღესაც სულ სხვა გზით მივალთ. წუხელის დიასახლისთან თავმოყრილმა სტუმრებმა ბევრი ილაპარაკეს ქვემო ბაკურციხეში მცხოვრებ ასი წლის მოხუც კნეინა ნინო სოლომონის ასულ ანდრონიკაშვილის შესახებ. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა. მოვიხელთეთ დრო თუ არა, პირდაპირ გავწიეთ, მით უმეტეს, ქვემო ბაკურციხეშივე გავიგეთ, საზაფხულოდ ჩამოსულიყო ერთი მეგობართაგანი შ. დ—იანი. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს სოფლად ერთით მეტი ინტელიგენტი მეგობრის ნახვა. ეს გარემოებაც პირველზე არა ნაკლებ მახარებდა.

კვემო ბაკურციხე ორი ვერსითაა დაშორებული პირველიდან. მდებარეობა გაშლილი აქვს. თითქმის სულ ვენახებშია ჩანთქმული. მშვენიერ ვილას წარმოადგენს თვით კნეინა ნინოს კარმიდამოც. მშვენიერი შენობა, კასის ეკლესია და გარშემორტყმული კვიპარის—ნაძვისა და ათასგვარ ხეხილის ბაღი მას წალკოტის სანახაობის ელფერს აძლევს.

ხის ქვეშ ჩამოვსხედით—ვიდრე კნეინა გამობრძანდებოდა, მის სტუმრებს ვესაუბრეთ. ბოლოს გამობრძანდა სანატრელი მოხუციც. თავი მაღლა აელო. ფრიად ახოვანი, ცოცხალი და ნათელმოსილი მეტყველება დიად სანახაობას გიდგენდათ თვალწინ. იგი ტიპიურ ქართველი დედის მოდელია. ცოცხალი თვალები და, რაც უფრო აღსანიშნავია, რაღაც მედიდურების გამომეტყველება უნებურად გიპყრობდათ, სიხარულით გავსებდათ, რომ მხოლოდ ჩვენს ბუნებას შეუძლიან ასეთ რჩეულ ადამიანთა წარმოშობა.

— ამათ ვერა ვცნობ…

სთქვა მოხუცმა. ეს ერთგვარი ნიშანი იყო, რომ გამოვხმაურებოდით.

— როგორ ჰგრძნობთ თავსა?

— კარგად, კარგად… მაგრამ რაღაა, შვილო, ვის რად ეჭირვება ჩემი სიცოცხლე, ღმერთსაც დავავიწყდი და კაცსაც. დროა, მაგრამ ჯერ ღმერთი არ მიხმობს.

იგი უაღრესად მორწმუნეა. სასოებით იხსენიებს პირჯვარს. ლაპარაკობს მძიმედ და მკვეთრად. ღრმა მოხუცებულებას მხოლოდ სმენა შეუმცირებია მისთვის. მეხსიერება დიადი. ნიშნობლივ აგიწერთ თვალით ნახულ ისტორიულ ამბებს, რის მოწმეც თვითონ ყოფილა და რაც დროთა ბრუნვას საარაკო ფურცლებად დარჩათ. მკაფიოდ ახსოვს შამილის გამწარებულ არწივისებური ბრძოლა, ბატონყმობა, მისი გადავარდნა. შეფასებაშიც დაკვირვებას იჩენს, ფხიზელი, საღ ლოღიკის მოხუცია. იგი ძველსა და ახალში ფრიად თვალსაჩინო ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ ძველად ერთგულობა, ერთმანეთის გატანა და სიყვარული მეტი იყო, ვიდრე დღესაო. ანორმალ მოვლენად მიაჩნია ხალხის გულის გაციება:

— მაშინდელი სიყვარული და ერთგულება წასულია, შვილო, მას ვერ დავიბრუნებთ…

ნაღვლიანად ხელი ჩაიქნია. მისი ჟესტი, მისი სახის მეტყველება თამამად ლაღადსა ჰყოფდა თუ მის წერტილებს კიდევ რა უნდა ეთქვათ.

დამსწრეთა შორის უცხო ენაზე გამოსაუბრებამ პატივცემულ მოხუცს გული აუძგერა.

— ქართულად, შვილებო, ქართულად… მეტანჯება გული… ყველანი მიყვარს, ყველანი, მაგრამ ქართველები უმეტეს ყოვლისა…

აქაც შოკლედ და სხარტულად აღნიშნა ქართველთა ერთგვარი გზის აბნევა და ხაზი გაუსვა ძველსა და ახალს დამახასიათებელ თვისებას…

ვინახულეთ მისი კარის ეკლესიაც. ეს მინიატურული შენობაა. არქიტექტურა სადაა, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ჩვეულებრივი სოფლის ეკლესია. შიგნიდან იცვლება ყოველისფერი. ძველი მხატვრობა და კანკელი უმალ თქვენს ყურადღებას იპყრობს. ჩუქურთმანი და ხის ჯვარი საუცხოვო ხელოვნების ნაშთს წარმოადგენს. იგი უძვირფასესი განძი იქნებოდა ჩვენი ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის. ასეთი აღსანიშნავია სახარება და კურთხევანი, დაბეჭდილი „მეფე ყოვლისა საქართველოისა ერეკლე მეორის“ დროს. საკურთხევლის აღმოსავლეთ კედლის თაღში აღსანიშნავია ღვთისმშობლის ხატი. საეჭვოა, ქართულ მხატვრობის ნიმუში იყოს იგი. იერზე ეტყობა კლასიკური ბეჭედი. მანძილის სიშორემ და სიბნელემ ხელი შემიშალა ნახატის ენა ამომეცნო თუ რა სკოლას ეკუთვნის იგი. გულთან ვგონებ ლახვარი აქვს. მოხაზულობით თითქოს ლავინჩის ღვთისმშობელს—ჰგავს, ისე მოსჩანს, თითქოს მისი კოპიო არისო. ყოველ შემთხვევაში სურათი ფრიად საყურადღებოა და კარგი იქნება ეთნოგრაფიულ საზოგადოებას შეეძინა იგი მუზეუმისთვის. დანარჩენ მხატვრობიდან აღარა არის რა აღსანიშნავი. წმ. გიორგი, იესო, კანკელის ანგელოზი არც ხეირიანად არის შესრულებული და სლოვიანური წარწერაც ცხადს ჰყოფს მათს უცხოობას.

უკვე მზე იწვერებოდა, როცა გამოვეთხოვეთ მხცოვან კნეინას. ჩემი გონება კვლავ გაბრწყინებულ მოხუცის თავს დასტრიალებდა. ვნატრობდი, ბევრი კიდევ მენახა მისი ბადალი, ან მოქანდაკე ვყოფილიყავი, რომ მკვეთრი საკვეთელით „ქართველ დედის“ უკვდავი ძეგლი გამომექანდაკებინა.

იქიდან ისე დავბრუნდით, რომ შ. დ—ნი ვერა ვნახეთ: თბილისს წასულიყო.

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

წერილი ქიზიყიდან

როგორც მოგეხსენებათ, ქიზიყელთა ცხვარი გაზაფხულიდან შემოდგომამდის ლეკის ანუ კავკასიონისა და თრიალეთის მთებზე იმყოფება საბალახოდ. ცხვრის პატრონთ უხსოვარ დროიდან ამ მთებზე აქვთ გამართული ცხვრისათვის ბინები, თავიანთვის საცხოვრებელი ქოხები, ფანჩატურები და სხვ.

სოფელ ქვემო-მაჩხაანელთაც ერთი ასეთი ბინა-ქონება ჰქონდათ ამ სამოცი წლის განმავლობაში თრიალეთზე, ეგრედ წოდებულ „კამეჩის“ მინდორზე. ეს საძოვარი ადგილი სულ ასი დესეტინა იყო და ქვემო-მაჩხაანელთ, თუ არ აკლდებოდათ რა საძოვრად, მოჭარბებით მაინც არ მოსდიოდათ ეს საბალახე ადგილი, მაგრამ ქვემო-მაჩხაანელთაც ჩვეულებრივი ამბავი დაატყდათ თავს. ამ ერთი წლის განმავლობაში ნახევარზე მეტი ამ საძოვარ ადგილისა, სადაც ქვემო-მაჩხაანელთ ქოხი-ბინები ჰქონდათ და სადაც ცხვრისათვის დასალევინებელი წყალი იყო, ჩამოაცალეს და გადმოსახლებული სომხები, სოფელ ზაკიდან ჩაასახლეს. ყოვლად შეუძლებელი იყო ამ საძოვარ მინდვრის მეორე ნახევარში, სადაც სასმელი წყალიც არ არის, გადაეტანათ ქვემო-მაჩხაანელთ თავიანთი ბინები, რადგანაც ერთხელ დგომით მარტო ცხვარიც არ გაიმართებოდა. ამ გარემოებამ, როგორც გაზეთის მკითხველებმა იციან, ქვემო-მაჩხაანელთა წინააღმდეგობა გამოიწვია,—სისხლის ღვრაც კი მოუხდათ ქვემო-მაჩხაანელთ, ათას დავიდარაბასა და სიმართლის საძიებლად თბილისში ტარებასაც რომ თავი დავანებოთ, მაინც ბოლოს ჩაწიხლულნი და ყველასაგან აბუჩად აგდებულნი ქვემო-მაჩხაანელნი გამოვიდნენ. ამ ზამთარს, სანამ ცხვარი ქიზიყში იმყოფებოდა, ჩასახლებულ სომხებს მშვენიერი სახლები წამოეჭიმნათ, ქვემო-მაჩხაანელთა ბინა-ქოხები კი მთლად დაენგრიათ.

ამ გაზაფხულზე მაჩხაანელნი ჩვეულებრივ გაუდგნენ გზას თრიალეთისაკენ თავიანთ საძოვარ მინდორზე. ორიოდე მეცხვარე დაწინაურებულიყო თავიანთი ბინების სანახავად, მაგრამ თქვენს მტერს, რაც ამ მეცხვარეებს ელდა და ელფინი სცემოდათ: მათი საცხოვრებელი ბინა-ქოხები მთლად ჩასახლებულთ მიენგრ-მოენგრიათ. მეცხვარეები მობრუნებულიყვნენ თბილისში ამ სამწუხარო ამბვის შესატყობინებლად დანარჩენ მეცხვარეებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელეთავის, მაგრამ აქ ეთქვათ: იმ საძოვარზე თქვენ სამუდამოდ ხელი უნდა აიღოთო. თქვენ წადით ყარსის გუბერნატორთან და იქ ყარსის გუბერნიაში მიიღებთ საძოვარ ადგილსო. ადვილი წარმოსადგენია რა გული გაუხდებოდათ ქვემო-მაჩხაანელ მეცხვარეთ. რასაკვირველია, ყარსის ოლქისკენ, სადაც ამ ჟამად სისხლის რუები მოდის, ქვემო-მაჩხაანელნი ცხვარს არ გაჰრეკავდნენ და გადაეწყვიტნათ ძველ ნაბინავარს ცოტა მოშორებით მაინც ეშოვნათ საბალახე-საძოვარი ადგილი.—ასეც მოიქცნენ. ქვემო-მაჩხაანელთა ძველ ბინების ათი-თუთხმეტი ვერსის მოშორებით ყოფილა ციციშვილების საძოვარი ადგილები. ეს ადგილები ვინმე ოსს ჯაკო მაკაევს ჰქონია აღებული იჯარით რამოდენიმე წლით. აი ამ ჯაკოსაგან აუღიათ ქვემო-მაჩხაანელთ ენკენისთვემდის საძოვრად მთა. ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში უნდა მისცენ ას სამოცი თუმანი ფულად, ბინაზედ ორ-ორი ჭედილა ცხვარი (სულ ოთხი ბინაა) და თითო დღის ცხვრის მონაწველიდან ნაკეთები ყველი, რაიცა სულ ორას თუმანს დაიჭერს. ქვემო-მაჩხაანელმა მცხოვრებლებმა მითხრეს, ძველ ნაბინვარს რომ მიუახლოვდა ცხვარი და გზა სხვა მხარეზე ავაქცევინეთო, ცხვარს აღარ უნდოდა ფეხის გადადგმა. ძლივს წვალებით მოვიყვანეთ ცხვარი ახალ ბინაზეო.

ეგ. მენ—შვილი.

ჩვენი ცხოვრება

ქ. ბათომი. 10 ივლისს გიმნაზიის დირექტორის მოწვევით კვლავ შესდგა მშობელთა ყრილობა შესახებ გიმნაზიის ბათომში გადმოტანისა. დირექტორმა წაუკითხა მშობელთ ამას წინად ქუჩებში გაკრული ბრძანება კომენდანტისა იმის შესახებ, თუ როგორ უწესოდ იქცევიან ქუჩებში მოსწავლენი. ხსენებულ ბრძანებას გამოუწვევია მზრუნველის მოწოდება მშობლების მიმართ, სადაც იგი სთხოვს, სწავლის საქმეში დაეხმარონ მშობლები მასწავლებელთ და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი „საერთოდ მოზარდ თაობის აღზრდის საქმეს ვემსახუროთო“. ამაზედ ერთმა მშობელმა დ—მ შენიშნა: „ჩვენ, მშობლები დიდი ხანია ვართ მაგ აზრის განხორციელების მომხრენი, მაგრამ მზრუნველის მხრით მშობელთა სურვილი უყურადღებოდ იყო დატოვებული“. დირექტორმა ეს საყვედური უარჰყო. მშობლებმა ზოგიერთი უწესო საქციელი გიმნაზიელებისა მიაწერეს იმ გარემოებას, რომ ზოგს დედა არა ჰყავს ბათომში, ზოგს მამა და ღვთის ანაბარად დარჩენილი შვილები ზოგიერთი არაგიმნაზიელის, ხოლო გიმნაზიელის ფორმაში ჩაცმულთა წაბაძვით ფუჭდებიან, და სთხოვეს დირექტორს, იშუამდგომლოს კომენდანტთან, რათა მან ნება დართოს ყველა მშობლებს ბათომში დაბრუნებისა. დირექტორმა ახარა კრებას, რომ უკვე მიეიღე განკარგულება კომენდანტისაგან გიმნაზიის კანცელარიის ბათომში გადმოტანისაო. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება მთელი გიმნაზიის გადმოყვანაც. დირექტორს ისიც მოუხსენებია კომენდანტისათვის, რომ ვაჟთა გიმნაზიასთან არის დაარსებული სახელოსნო განყოფილება, რაიც ხელს შეუწყობს ჯარისათვის მასალის დამზადების საქმეს და შეგირდებსაც დრო აღარ ექნებათ ქუჩაში სახეტიალოდ. გარდა ამისა, ქალების გიმნაზიაში დაამზადებენ შხამიან გაზის საწინააღმდეგო პირ-საფრებს და თეთრეულობას.

მეფის მოადგილის კანცელარიამ 1000 მანეთი გამოუგზავნა აგრონომ გამხარაშვილს ართვინის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ზეთის ხილის ხეების მოსარწყავად. იგივე გამხარაშვილი სთხოვს მეფის მოადგილის კანცელარიას, რათა დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს ორი ინსტრუქტორი ბათომის ოლქში შემოსულ ყანების მოსამკელად.

ტრ. ი—ძე.

დ. ანაკლია. 10 ივლისს დაბა ანაკლიის ფოსტის განყოფილების უფროსს ბ-ნ ნაფეტვარიძეს ესტუმრა „რევიზორი“, მოუჯდა კასას და მოსთხოვა კლიტე.—ახლავე მოგართმევთო და ფოსტის უფროსი შევიდა ოთახში, საიდანაც… გაისმა რევოლვერის ხმა: მოხელემ მოიკლა თავი.

კაი.

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო ფანჩიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „	58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „	58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	56 „	„
ელაანიდან . . .	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან . . .	3 „	37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „	41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 „	24 „	„
მელაანიდან . . .	11 „	39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „	13 „	„
თბილისში, . . .	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	2 „	58 „	„
გურჯაანში . . .	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან. .	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს.	25 წ.	დილ
„ საგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ .	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.
„ საგარ.	8 ს.	28 წ.	დილ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—33

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგვინეთუხუცესები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

[illegible]